ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7963818

ნომერი: AR11146745

თარიღი : 09.06.2026

გაცემის თარიღი : 16.06.2026

გაცნობის თარიღი : 17.06.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , მე-20 კილომეტრი , მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შადიმან კორძაძე პ/ნ 17001000182
- თბილისი, დიღმის მასივი კვ. 4. ბინა N7.

ნომენკლატურა :

- დამხმარე - ტექნიკური შენობები
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს ფრანკო
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 431171199
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შადიმან კორძაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 17001000182

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 6390.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1067.46
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 6084.43

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 5550.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 533.73
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 11.82
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 11.32
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.5

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

1. დამკვეთის ინფორმაციაში მიეთითოს შპს ფრანკოს დირექტორის მონაცემები. წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის იპოთეკარის თანხმობა. -

2.საინფორმაციო დაფა - ბანერი. -> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა განთავსდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე.

3. ტერიტორიაზე თბილისი ენერჯის გაზმომარაგების ქსელი. წარმოადგინეთ მესაკუთრის პოზიცია ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

4. შესაბამის ველში წარმოადგინეთ მომიჯნავე შენობა-ნაგებობაზე ზეგავლენის კვლევის ანგარიში, რომელიც მოიცავს, ა) მომიჯნავე შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის ფიქსაციას და მათზე დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესაძლო ზემოქმედების ხარისხს; ბ) საჭიროების შემთხვევაში სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომიჯნავე შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას, რაც ასევე აისახება მშენებლობის ორგანიზების პროექტში.

5.დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. : წარმოადგინეთ დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის საექსპერტო შეფასება და ექსპერტის მონაცემები

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.